სსიპ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ბრძანება

07.10.2014 № 195

თბილისი

სტუდენტის სტატუსის აღდგენისა
და გაგრძელების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ფაკულტეტების დეკანების მოხსენებითი ბარათებისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 29 სექტემბრის №1272 დადგენილების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. საგანმანათლებლო პროგრამის გეგმური ვადის დამთავრების შემდეგ აკადემიური დავალიანების მქონე სტუდენტების მიერ აღნიშნული პროგრამის დასასრულებლად დამატებით სემესტრებში სტუდენტის სტატუსის გაგრძელების, აგრეთვე სტუდენტის სტატუსშეჩერებული პირების (ფინანსური დავალიანება, პირადი განცხადება და სხვა) მიერ სტატუსის აღდგენის თაობაზე განცხადებების წარმოდგენის ვადა გაგრძელდეს 2014 წლის 13 ოქტომბრის ჩათვლით;
2. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს სწავლების დეპარტამენტს (ი. ლომიძე);
3. ბრძანება გამოიკრას თვალსაჩინო ადგილებზე და განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

რექტორი *ა. ფრანგიშვილი*

ვიზები:

რექტორის მოადგილე
სასწავლო დარგში *ლ. კლიმიაშვილი*

სწავლების დეპარტამენტის
უფროსი *ი. ლომიძე*

იურიდიული დეპარტამენტის
უფროსი *ბ. მაისურაძე*